სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

ო ქ მ ი # 7

ქ. ონი 24. 07. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ბერელიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ვლადიმერ ბერელიძე, შუქურა ჯაფარიძე, ნინო ბერუჩაშვილი, ანა ბაქრაძე, სერგო ლობჯანიძე, მადლენა მეტრეველი, როსტომ ლობჯანიძე, თორნიკე მეტრეველი.

არ ესწრებოდნენ: გიორგი მარკოიშვილი, ბიჭიკო კერვალიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ვლ. ბერელიძე- კომისიის თავმჯდომარე/

2. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების შესახებ

/მომხს. ვლ. ბერელიძე - კომისიის თავმჯდომარე/

3. სსიპ-დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის დავით აღმაშენებლის ქუჩა #10-ში მდებარე შენობის მე-3 სართულზე მდებარე 2 ოთახის (საერთო ფართით-53,08 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

/მომხს. ვლ. ბერელიძე- კომისიის თავმჯდომარე/

4. „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის #10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

5. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის ანგარიში.

მომხს. ვლ. ბერელიძე- კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ვლ. ბერელიძე- კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

კომისიამ მხარი დაუჭირა საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

მოისმინეს: 2. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებელის შემოღების შესახებ

/მომხს. ვლ. ბერელიძე- კომისიის თავმჯდომარე

ვლ. ბერელიძემ სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებელის შემოღების შესახებ

კომისიამ მხარი დაუჭირა საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

მოისმინეს: 3. სსიპ-დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის დავით აღმაშენებლის ქუჩა #10-ში მდებარე შენობის მე-3 სართულზე მდებარე 2 ოთახის (საერთო ფართით-53,08 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

/მომხს. ვლ. ბერელიძე- კომისიის თავმჯდომარე/

/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი სსიპ-დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის დავით აღმაშენებლის ქუჩა #10-ში მდებარე შენობის მე-3 სართულზე მდებარე 2 ოთახის (საერთო ფართით-53,08 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის

წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეუწონლად მიიჩნიეს სპორტკომპლექსის შენობაში სსიპ-დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის ფართის გამოყოფა, აღნიშნული დაწესებულებების სპეციფიკიდან გამომდინარე.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითთა და ეთიკის კომისია გასცემს რეკომენდაციას, აღნიშნული მიზნისთვის მოიძებნოს ალტერნატიული ფართი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მოისმინეს: 4. „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის #10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. ვლ. ბერელიძე- კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის #10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

მოისმინეს: 5. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ვლ. ბერელიძე- კომისიის თავმჯდომარე/

ვლ. ბერელიძემ სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და რეკომენდაციას გასცემს, წარმოდგენილი საპრივატიზაციო ობიექტების გეგმიდან ამოღებული იქნეს ონის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული კამაცუ D65EX15EO და პროექტი საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად შემოტანილი იქნეს აღნიშნული ტექნიკის გარეშე.

მოისმინეს: 6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის ანგარიში.

მომხს. ვლ. ბერელიძე- კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის ანგარიში.

კომისიამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვლადიმერ ბერელიძე

კომისიის თავმჯდომარე